სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

07/11/2024

MES 0 24 0001441360

2024 წლის 08 ნოემბრის დასვენების დღედ გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ„ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წყლის მიწოდების შეწყვეტის თაობაზე თბილისის წყალმომმარაგებელი კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისაგან“ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024 წლის 08 ნოემბერი სტუ-ის ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო და დამხმარე პერსონალისთვის გამოცხადდეს დასვენების დღედ.
2. 2024 წლის 08 ნოემბერს სტუ-ში შეჩერდეს სასწავლო პროცესი და გაცდენილი მეცადინეობების აღდგენა მოხდეს 2024 წლის 11 ნოემბერს.
3. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს ფაკულტეტების/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შენობებში თვალსაჩინო ადგილზე.
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ